გზამკვლევი გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციასთან ბრძოლის შესახებ

რა არის გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაცია (GID)?

ენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაცია (GID) გულისხმობს ცრუ ინფორმაციის მიზანმიმართულ გავრცელებას, რომელიც იყენებს ინდივიდების გენდერს, გენდერულ იდენტობას ან სექსუალურ ორიენტაციას პოლიტიკური, კულტურული ან იდეოლოგიური მიზნებისთვის. ამ ტიპის დეზინფორმაციის კამპანია ბოროტად იყენებს საზოგადოებაში უკვე არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, ზიანს აყენებს ძალადობის და დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ მყოფ მოწყვლად ჯგუფებს, და ასუსტებს დემოკრატიულ სისტემებს.

რატომ უნდა დავუთმოთ ყურადღება გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციას?

ის ახშობს მარგინალიზებულ ხმებს

გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაცია მიმართულია ქალების, ლგბტქ+ თემის და აქტივისტების წინააღმდეგ. ის თრგუნავს მათი კრიტიკული შეხედულებების გაჟღერებას სამოქალაქო პროცესებში.

ბოროტად იყენებს სოციალურ ნორმებს

გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაცია მანიპულირებს სტერეოტიპებით და კულტურული ღირებულებებით, რათა გააღრმაოს ცრურწმენები, დათესოს უთანხმოება და შეინარჩუნოს მჩაგვრელი ძალაუფლების სტრუქტურები.

აღვივებს ძალადობას და შევიწროებას

დეზინფორმაციული კამპანიები ხშირად შეიძლება გადაიზარდოს რეალურ საფრთხეში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შევიწროება, ფსიქოლოგიური ტრავმა, და ფიზიკური ძალადობა.

ძირს უთხრის დემოკრატიულ სისტემას

მმართველობის, მედიისა და ინსტიტუტებისადმი ნდობის შელახვით, გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაცია ასუსტებს დემოკრატიას.

არღვევს სოციალურ ერთობას

გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაცია ხელს უწყობს საზოგადოების დაყოფას, რაც ართულებს ურთიერთგაგებისა და ნდობის ჩამოყალიბებას.

როგორ როგორ ვებრძოლოთ გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციას?

შეისწავლეთ თქვენი აუდიტორია

რა არის თქვენი მიზანი? თქვენი თანამოაზრეებისთვის ცოდნის გაზიარება თუ იმ ადამიანების დარწმუნება, რომელთაც სჯერათ გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციის ნარატივების? ადამიანების იდენტობის ან ღირებულებების რომელ ელემენტებზე შეგიძლიათ ისაუბროთ მათი ეფექტურად დარწმუნებისთვის?

გამოიძიეთ და ამხილეთ

მოახდინეთ გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციის შაბლონების იდენტიფიცირება, გამოიკვლიეთ ნარატივის წყაროები და გამოავლინეთ მათ უკან მდგომი აქტორები ან პლატფორმები.

წარმოაჩინეთ კონტექსტი

დააკავშირეთ გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციის კამპანიები უფრო ფართო საზოგადოებრივ შედეგებთან, განსაკუთრებით კი, ზიანთან რომელიც მიადგება დემოკრატიას და მარგინალიზებულ ჯგუფებს.

ებრძოლეთ დამაზიანებელ ნარატივებს

გამოაქვეყნეთ პოზიტიური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ისტორიები, რომლებიც გააქარწყლებენ სტერეოტიპებს და წაახალისებენ მედეგობას და სიმტკიცეს.

გააზიარეთ ცოდნა და ითანამშრომლეთ

გაზარდეთ ცნობიერება გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციის ტაქტიკების შესახებ და ითანამშრომლეთ ფაქტების გადამმოწმებლებთან და ექსპერტებთან საკითხების გაშუქების გასაუმჯობესებლად.

გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციის მაგალითები მედიაში:

საქართველო 2024 წლის 2 დეკემბერს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს „ისტერიული“ უწოდა, რითაც მან ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების შეჩერების წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციებში პრეზიდენტის როლის დისკრედიტაცია სცადა. პრემიერმა პრეზიდენტი „ემოციურად“ შერაცხა და დაადანაშაულა ხელისუფლების დასამხობის მიზნით “მაიდანის” ორკესტრირებაში.ეს რიტორიკა უფრო ფართო დღის წესრიგის ნაწილია და მისი მიზანია ოპოზიციის, როგორც საქართველოს რუსეთთან ომში ჩამთრევი ძალის, დისკრედიტაცია და ასევე პრეზიდენტ ზურაბიშვილის, და სხვა ქალების, ირაციონალურად და ლიდერობისთვის შეუფერებელ პირებად წარმოჩენა.

სომხეთი ქალი პარლამენტარები გენდერული და იდენტობის ნიშით დეზინფორმაციის სამიზნე გახდნენ მას შემდეგ, რაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პაკეტის გაფართოება დაუქორწინებელ წყვილებზეც მოითხოვეს. ყოფილი პრორუსი პრეზიდენტის, რობერტ ქოჩარიანის, მიერ დაფინანსებულმა ონლაინ საინფორმაციო გამოცემა Hraparak-მა დამახინჯებულად გააშუქა რეფორმები და ამტკიცებდა, რომ მათი მიზანი იყო ჰომოსექსუალური ურთიერთობების დაცვა „დასავლური ღირებულებების“ საფარქვეშ. ინფორმაციის დამახინჯების ასეთი მცდელობები ესადაგება ქალების ხელმძღვანელობით შემუშავებული რეფორმების დელეგიმატიზაციის დღის წესრიგის, თითქოს რეფორმები გარე ძალების გავლენის შედეგად ყალიბდება და არა შიდა ადგილობრივი სოციალური პრობლემების გათვალისწინებით.

პოლონეთი 2020 წელს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, პოლონეთის პრეზიდენტმა ანდრეი დუდამ, ლგბტქ+ უფლებები დესტრუქციულ იდეოლოგიას შეადარა, და მას „კომუნიზმზე უარესი“ უწოდა. პრეზიდენტობის კანდიდატმა ლგბტქ+ უფლებების ადვოკატირება კულტურულ საფრთხედ წარმოაჩინა, რითაც მოახდინა კონსერვატიულად განწყობილი ამომრჩევლის მობილიზება, პროგრესული ხმები ჩახშობა და პოლარიზირების გაღვივება.

გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციის ეთიკური გაშუქების საკონტროლო სია

კითხვა	კი	არა
შევამოწმე თუ არა ყველა განცხადება, სტატისტიკური მონაცემი და წყარო რათა დავრწმუნდე რომ ისინი სწორია და არ არის მანიპულირებული გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციის კამპანიის ფარგლებში?		
ვიყენებ თუ არა ინკლუზიურ, ზუსტ და არასტიგმატიზებულ ენას რომელიც არ აძლიერებს დამაზიანებელ სტერეოტიპებს?		
ვაშუქებ თუ არა სხვადასხვა მოსაზრებებს, განსაკუთრებით დაზარალებული ჯგუფებიდან, ვიქტიმიზაციის ნარატივის გაძლიერების გარეშე?		
მაქსიმალურად შევამცირე თუ არა მოქმედი პირების მიმართ პოტენციური საფრთხე და შევუნარჩუნე თუ წყაროებს მათი ანონიმურობა, მოთხოვნისამებრ?		
გავესაუბრე თუ არა ადგილობრივ ექსპერტებს ან დაზარებულ ჯგუფებს, კულტურული სპეციფიკის უზრუნველსაყოფად და მიკერძოებულობის თავიდან ასაცილებლად? შეაფასე შენი მიკერძოებულობის დონე ჰარვარდის უნივერსიტტეტის ტესტით - ირიბი ასოციაციის ტესტი		
ზუსტად წარმოაჩენს თუ არა ჩემი ფოტოები, სათაურები და აღწერები ინდივიდებს, სტერეოტიპებების, საკითხის გაბუქების და სენსაციურობის გარეშე?		
ავარიდე თუ არა თავი დიფ ფეიკს, შეცდომაში შემყვან ვიზუალურ მასალას ან ხელოვნური ინტელექტით გენერირებულ დამახინჯებებს - რაც ხშირად არის გამოყენებული გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციის კამპანიებში?		

გაშუქების კარგი მაგალითი

შეურაცხყოფის ქსელი: ქალი პოლიტიკოსები, როგორც ულტრა მემარჯვენეების არაპროპორციული სამიზნე

- ეს გამოძიება ასახავს, თუ როგორ იყენებენ ულტრამემარჯვენე ჯგუფები ონლაინ შეურაცხყოფას ქალი პოლიტიკოსების მიმართ მთელი ევროპის მასშტაბით, რისი მიზანიც არის მათი გაჩუმება და დაშინება. სტატიაში მოყვანილია კონკრეტული საქმეები და განხილულია დემოკრატიისთვის დამაზიანებელი უფრო ფართო შედეგები.
- სტატიაში დაცულია გენდერული და იდენტობის ნიშნით დეზინფორმაციის გაშუქების წესები:
- სტატიაში მითითებულია კონკრეტული შემთხვევები და მონაცემები AfD-ის მიერ Facebook-ზე კატარინა შოლცის არაპროპორციული ხსენების რაოდენობის შესახებ, რაც მიუთითებს საფუძვლიან კვლევაზე და ფაქტების გადამოწმებაზე.
- ანგარიშში ხაზგასმულია ქალი პოლიტიკოსების გენდერული ნიშნით შეურაცხყოფა ევროპის მასშტაბით, ასევე ასახულია მედეგობის მაგალითები, წახალისებულია მხარდაჭერა და მოცემულია ონლაინ შეურაცხყოფის კულტურული კონტექსტი სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოში.
- მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება პრობლემის გამოვლენაზე, სტატია ასევე ხაზს უსვამს ქალი პოლიტიკოსების მედეგობას, რაც დაზარალებული პირების მიმართ ირიბ მხარდაჭერას გულისხმობს.
- სტატია ადასტურებს, რომ პოლიტიკოსების შეურაცხყოფა იდენტობის გარდა, ხშირად ეხება გენდერს, რასას და გარეგნობას, რაც ასახავს საკითხის ინტერსექციურ აღქმას.
- სტატიაში მოცემულია მაგალითები სხვადასხვა ქვეყნებიდან და პოლიტიკური წრეებიდან, რაც საკითხს მრავალფეროვანი პერსპექტივიდან აშუქებს.
- სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტთან (ISD) თანამშრომლობა და ექსპერტების ანალიზი სტატიას სანდოობას და სიღრმეს მატებს.
- ნაშრომი საგამოძიებო ხასიათისაა, რაც მიგვანიშნებს მიზანმიმართულ ძალისხმევაზე მიგნებები ობიექტურად იყოს წარმოდგენილი, ზედმეტი მიკერძოების გარეშე.
- სტატიაში საუბარია შეურაცხყოფის ფაქტებზე კონფიდენციალურობის დაცვით, ისე, რომ მსხვერპლს არ მიადგეს შემდგომი ზიანი. მთავარი ყურადღება გამახვილებულია სისტემურ პრობლემებზე.

INSTITUTE FOR WAR & PEACE REPORTING